

გამზარბელები თავს დაესხნენ ქალაქის გამგეობის წევრს ლ. ნოვიკოვს და ორჯერ ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს.

საქართველოს საკ. საინისტრუქციო რუსეთის ბანკის დახურვა ბათუმში.

ბათუმში ინგლისელთა გენ. გუბერნატორის განკარგულებით დახურულ იქნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. ბანკის შენობაში მოთავსებულ იქნა ინგლისური კოოპერატიული ბანკი.

ქართული ბონები ბათუმში.

ბათუმიდან მიღებულ ცნობებით, იქ ქართული ბონების და ამიერ კავკასიის ბონების ფაქტი ერთი და იგივეა. ქართული ბონები ღონის ბონებზე 20 პროცენტით ძვირია ფასობს.

საქართველოს წარმომადგენლის დაბრუნება სომხეთიდან.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში გერასიმე მახარაძე და რომის პაპის ლეგატი დელფოშე გუშინ ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდნენ.

გაზ. „ნაშ კრაი“-ს დახურვა.

ბათუმში ინგლისურ ადმინისტრაციის განკარგულებით, 25 ოქტომბერს დაიხურა დენიკინელების გაზ. „ნაშ კრაი“.

გზათა საინისტრუქციო რკინის გზა ახალსენაკიდან ხეთამდე.

ოქტომბრის 29 დაიწყო მოძრაობა შავი ზღვის რკინის გზაზე ახალსენაკიდან ხეთამდე. მოძრაობის განხილვას დაესწრნენ გზათა მინისტრის ამხანაგი ბ. ჰიუ ნაძე, რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენელი ინ. კარპოვიჩი, ახალი რაიონის რკინის გზის მოსამსახურეთა წარმომადგენლები და სენაკის და ზუგდიდის სამხარო ერობათა გამგეობის წევრები. სენაკიდან სოფ. ხეთამდე მთელმა საზოგადოებებმა ნომარობის დაწყების გამო განართეს დღე სასწაული. პირველ მატარებელს დიდ ძალი ხალხი დახვდა. მიესალმნენ მთავრობის წარმომადგენელს. ბოლოს სოფელ ხეთაში მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ თავი მოიყარა და მიმღებების დეპუტა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და ერობათა კავშირს. წარმოითქვა სიტყვები. უკანასკნელად სტუმრებს ჩვეულებრივი სადილი გაუმართა.

საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა კრილოვა

სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი ფრიად ცხოველ მუშაობას აწარმოებს ყრილობის მოსაწვევად და მისი სასურველ გეზზე დაყენებით ათვის. შემუშავებულია ყრილობის პროგრამა და დებულება; საორგანიზაციო კომიტეტმა შესაფერის შინაარსის მიმართებით დაუგზავნა: 1) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას; 2) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს; 3) კოოპერატიულ კავშირებს; 4) ერობებს და სხვა დაწესებულებათ. მოგვეყვას ერთი ამ მოწოდებათაგანი:

სოფლის მეურნეობა საქართველოს კეთილდღეობის საფუძველია: მცხოვრებთა 81% სოფლის მეურნეობას მისდევს და ამავე დროს არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა არ არის ისე დაქვეითებული, როგორც სოფლის მეურნეობა. საჭიროა ყურადღების მიქცევა, საჭიროა ერის ყველა ძალების ამოძრავება და იმის გამოკვეთვა, თუ რა გზით შეიძლება მისი აღორძინება.

ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე აღმართულია ორი საკითხი: ერთი—შინაური მოთხოვნების დაკმაყოფილება; მეორე—გარედ გასატანად საქონლის დაზადება; ერთი და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ განსახლებულ პირობებში; საჭიროა ამიტომ შესწავლა მოვლენათა, რომელთა ზეგავლენას ქვეშ იმყოფება სოფლის მეურნეობა: შესწავლა ბუნებრივი, ეკონომიური და უფლებრივი პირობებისა; თვით ეს შესწავლა სწარმოებდეს განსახლებულ წესით და რიგით, რომ ამ კოლექტიუ-

შრომის შედეგად იყოს ჩვენი სამშობლო ქვეყნის გაცნობა; მხოლოდ ამ გაცნობის შემდეგ შეიძლება გათვალისწინება მეურნეობის განვითარების გზის, იმ მიმოსვლისა, რომელსაც ჩვენ უნდა ვეწარმოოთ და აგრეთვე აგრონომიულ დახმარების ზოგადი ორგანიზაციის პრინციპებისა; ამ შესწავლის შედეგი იქნება დასახვა მთელ რიგ ღონისძიებათა ეკონომიური, ფინანსური და უფლებრივი ხასიათისა, ურომლისოდ შეუძლებელია სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარება და აგრონომიული მუშაობის ნაყოფიერება:

აგრონომიული დახმარება გულისხმობს ორნარი მუშაობას ერთი—იმ საშუალებათა და ღონისძიებათა კვლევა-ძიებას, რომელთა მეოხებით შესაძლებელია არსებულ შემოსავლიან კულტურების გაუმჯობესება და მეურნეობის შეცვლა; მეორე—ცოდნის გავრცელება, პროპაგანდა, რომელსაც ემსახურება ორგანიზაციის განხილვა—სკოლა და მოსიარულე პროპაგანდისტ აგრონომები; მაგრამ მათ არა აქვთ ყველაფერი ერთნაირი მნიშვნელობა; მეთოდები აგრონომიური მოქმედებისა ცოდნის გასავრცელებლად შეფარებული უნდა იყოს ადგილობრივ კულტურულ და სხვა მდგომარეობასთან; ერთის სიტყვით, ამ პასუხს საგებ მუშაობის ორთავე ნაწილს აქვს თავისი მეთოდები, საშუალებანი და მიზანი; საჭიროა გამოკვეთვა მათი მნიშვნელობისა და ურთიერთი დამოკიდებულებისა და საერთო მიზნის და ჩვენი საჭიროებათა მიხედვით; ორგანიზაციის განხორციელებაშიც ერთნაირი წილი არ უდევთ ადგილობრივ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და ცენტრალურ მთავრობას; მათი უფლებრივი და ფინანსური მონაწილეობა სავსებით განისაზღვრება ცენტრალურ და პროვინციის დამოკიდებულებით, ცენტრის ძალასა და პროვინციის კულტურულ თვითმოქმედებით.

რესპუბლიკა ახლად აშენებულ სახელმწიფოს, კულტურულ მომავალს ეხლა ეყრება საძირკველი და ჩვენივე აუცილებლად საჭიროა სრულის შეგნებით გამოვარკვოთ და თუ შესაძლებელი იქნა, გადავსწავილოთ ის მიმე და შთამომავლობის წინაშე პასუხსაგები საკითხები, რომელიც წამოაყენა ჩვენმა ახლად აღუდგებულმა მოქალაქეობრივმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ

საქართველოს ყველა კუთხეში მოიძებნებიან კულტურული ძალები, რომელნიც შეუმჩნევლად, მაგრამ მტკიცედ ეწევიან აგრიკულტურულ მუშაობას. საჭიროა მათი შეკავშირება, მათი ნაცადის და ნაკვლევის გამოყენება, საჭიროა ზემო აღნიშნულ და მათთან დაკავშირებულ საკითხების გამოკვეთვა.

ყველა ამიდავრის ტფილისში, ამა წლის დეკემბრის 15, განზრახულია მოწვევა სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობის, რომლის დებულებას და პროგრამას ამასთანავე გაახსენებთ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ, პარტიკულური ბნო, სავსებით იზიარებთ აღნიშნულ ყრილობის დიდმნიშვნელობას და ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი თქვენი პირადი მონაწილეობით და მოხსენებით იმ საკითხის შესახებ, რომელიც მიიპრობს თქვენს ყურადღებას, საპატიო ადგილს დაიჭერთ მის კოლექტიურ მუშაობაში, რისთვისაც საორგანიზაციო კომიტეტი წინდაწინვე გულითად მადლობას გიძღვნი.

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პროფესორი ს. ავაღაანი, მდივანი გრ. რცხილაძე.

შორაგნის საგარეო ერობის ხელსაწყო გამოთხა კრილოვა

7 ოქტომბერი.

იხსნება კამათი თემების ორგანიზაციის შესახებ. ხმ. გვალა და გამრეკელი წინადადებას იძლევიან ერთეულების გამოსაჭრელათ არჩეულ იქნას კომისია; ამ კომისიის დაგეგმვა თემების ორგანიზაციის კონსტიტუციის შემუშავება. არჩევნები აის გამო გადადებულ უნდა იქნეს ნოემბრამდე. მცირე კამათის შემდეგ სესია ლეზულობს შემდეგ დადგენილებას: დარჩეს ერთეულები გამოჭრელი ისე, როგორც შემუშავებულია გამგეობის მიერ ლაშე-ღვერკის გამონაკლი-

კირველი კართული ლაზარის გახვეობა

აქცადებს იმ აგენტთა საყურადღებოდ, რომელთაც 25 ოქტომბრამდე არ წარმოადგინეს გაყარული ბილიტების ღირებულება და გაუქიდავი ბილიტები, რომ 30 ამ თვესათვის იქნება ფულის წარმოადგენის უკანასკნელი ვადა, რათა 2 ნოემბრისათვის შეესაძლებული გახდეს სრული ანგარიშის შედგენა.

სით. ორგანიზაცია თემების შემდეგია: თემის გამგეობა შესდგება 3 წევრისაგან. თავმჯდომარე და მდივანი იგივე გამგეობის წევრი ლეზულობენ ჯამაგირს, მესამე წევრს ჯილდო ეძლევა მხოლოდ სხდომების დროს. მილიციის შტატი შესდგება 3-5 მილიციონერისაგან უფროსი მილიციონერის მეთაურობით. სოფელში რჩება არსებული ორგანიზაცია ასისტანტებისა და ოციასთავების. მართვა-გამგეობა თემში თემის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. სამხარო ერობის ხელმძღვანელობით. შემდეგ ამისა ყრილობა იხსენს ი. გუნცადის და მ. ტაბატაძის განცხადებას გამგეობის წევრობიდან მათი განთავისუფლების შესახებ. კრება მათ თხოვნას აკმაყოფილებს.

ხმ. ზაქ. გურულს შემოაქვს წინადადება ეთხოვოს გამგეობის წევრთ ბუაჩიძე, მენაღარიშვილს და დეკანოზიძეს მიიღონ თავის თავზე გამგეობის საქმეების გაძლოლა შექდეგ სესიამდე, როდესაც არჩეულ იქნება ორი ახალი წევრი გასული წევრების მაგიერ.

კრება ადგენს: საკითხი გამგეობის წევრების არჩევის შესახებ გადაადოს საღამოს სხდომისთვის.

კრება გადადის მიმდინარე საკითხების განხილვაზე: 1) თანახმად გამგეობის წინადადებასა გადასახლდა გამმწერ საკრებულოს წევრებად მაზრის მეორე უბნისათვის არჩეულ არიან: ლერვასი ბარათაშვილი, ალექ. ხაბუღანიანი. კანდიდატებად: სეფე ბუაძე და გედევან მესხი. ამავე უბნისთვის არჩეულ არიან: კუჭუვა ვლადიმერ, ჩიხლაძე სიმ. და ძინძიბიძე ზაქარია. 2) აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა გარდაცვლებულ ფერშლის სამსონ დარსაველიძის ქვარეს მიეცეს ერთდროული დახმარება და თუ შუამდგომლობა შეწყნარებულ არ იქნება იმ შემთხვევაში მიეცეს მას დახმარება ერობის თანხებიდან. 3) ბენიფიციის სკოლის გამგის ციციშვილის საქმე გადაეცეს სასკოლო საბჭოს. 4) ექიმ ამაშუგლის და ფერშალ მასხარაშვილის თხოვნა გადაეცეს საინტარულ საბჭოს. 5) ფერშალ ფარმოსაძის საქმე გადაეცეს საინტარულ საბჭოს. 6) ინსტრუქტორ ტრ. თაბუკაშვილის განცხადება გადაეცეს გამგეობას, რომელსაც ევალება გაეცნოს საქმის ვითარებას და წერილობითი მოხსენება წარმოუდგინოს ამის შესახებ შემდეგ სესიას.

შემდეგ ამისა ხმ. ფანჩულიძე შეკითხვას აძლევს გამგეობას კომისარ მიქაშაიძის დათხოვნის შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარე ბუაჩიძე მოახსენებს კრებას თუ რა იყო მიზეზი კომისარ მიქაშაიძის თანამდებობიდან დათხოვნისა. შეკითხვა იწვევს მწვავე კამათს, რომლის შემდეგ კრება ლეზულობს შემდეგ რეზოლიუციას:

„ყრილობამ მოისმინა რა გამგეობის განმარტება კომისარ მიქაშაიძის დათხოვნის შესახებ, სწრაფი გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი ამ შემთხვევაში ნაჩვენებია“.

დამოკიდებულება თემებსა და სამხარო ერობის შორის მოხსენებლის სიტყვით ჯერ კიდევ გამოურკვეველია. წვრილი ერთეულების ორგანიზაცია და მათი უფლებები შემდეგში მდგომარეობას: საზოგადოების მთავარი მართველი ორგანო არის თემის საბჭო, რომელიც ირჩევს თავის წევრებს შორის 3 პირისაგან შემდგარ თემის გამგეობას. გამგეობის წევრები იღებენ ჯამაგირს; მათი შენახვა ექისრება თვით თემს. უფლებების მხრივ თემის თვითმართველობა არის ბატონ პატრონი თავის თემისა. ფინანსების მხრივ თემებს უნდა მიენიჭოს ერთგვარი უფლებები, როგორც მაგალითად განსახლებული %/0 იმ გადასახადებისა, რომელნიც წილად ხვდება სამხარო ერობას, სამხარო ერობამ უნდა გაიღოს ეხლავე თავის წვლილი, რომელიც ამ თავითვე დასჭირდება თემების მოწყობას.

ადმინისტრაცია ეწყობა თვით თემებში. მილიცია უფროსი მილიციონერის მეთაურობით ექვემდებარება თემურ თვითმართველობას ასე ამ გვარად უქდება რაიონის კომიტეტის თანამდებობა და რაიონის მილიცია.

ხმ. გვალა წინადადებას იძლევა, დროებით სანამ განაპირა უბნებისთვის მოსამართლეები არ იშოვება, დარჩეს არსებული 5 უბანი.

შემდეგი ორატორები გოგიაშვილი და გურული საჭიროთ სცნობენ განაპირა უბნებისთვის კორბოლისა და ამაშუკეთის მოსამართლეების დანიშნებას.

კრება ადგენს: გაუქმდეს დილიგაურის და დაარსდეს კორბოლის სამომრიგებლო უბანი.

თავმჯდომარე კითხულობს მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატების მიხ. შოთაძის, სიმ. წერეთლის და კლემენტი აბრამიშვილის თხოვნებს.

ყრილობა ადგენს 3 მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მოხდენილ იქნეს კრების ბოლოს.

შემდეგ ამისა ხმ. ფანჩულიძე მოახსენებს აკეთებს სასურსათო საკითხის შესახებ. მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მომხსენებლის აზრით გატანილ იქნას საზღვარ გარედ ისეთი სანოვაგე, რომელიც მაზრას საქმოდ მოეპოვება, როგორც, მაგალითად, ძაძა და ლობიო და მის მაგიერ შემოტანილ იქნას პური. საჭიროა ამასათვის ერობამ მიიღოს ამ საგნებზე მონოპოლია და მოაწესრიგოს სასურსათო საქმე მაზრაში.

ხმ. გვალა წინადადებას აყვავდევს მონოპოლიისა სასურსათო საქმეში და საერთოდ თვითმართველობების მიერ ვაჭრობა აღებ-მიციემობის წარმოებისა და საჭიროდ სცნობს ალიარებულ იქნას თავისუფალი ვაჭრობა და საქონლის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა.

სასურსათო საკითხის შესახებ ყრილობა ლეზულობს შემდეგ დადგენილებას: „ყრილობა იღებს რა მხედველობაში მოსალოდნელ სასურსათო კრიზისის წინადადებას აძლევს გამგეობას გამოიყენოს შემდეგი საჭიროები მაზრაში და ეცადოს თავიდან მიციდინოს მოსალოდნელი კრიზისი.“

შტატების შესახებ მოხსენებს აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე კ. ბუაჩიძე, რომელიც მოახსენებს ყრილობას, რომ შტატები მოსამსახურეებისა დაყოფილია შვიდ კატეგორიით, ახალი შტატით ჯამაგირები უნდა მიეცეს 1 ავგისტოდან.

ადმინისტრაციის მოხელეთა ჯამაგირი ეძლევა თანახმად მთავრობის შტატებისა.

ქალაქ ზესტაფონის ხიდისთვის დაზადებულ მასალა მოხმარდეს ზელაბურის ხიდს.

სამხარო ერობის გამგეობაში დარჩეს სამი გამგეობის წევრი. მიეცეს მათ ჯამაგირი: თავმჯდომარეს 3000 მ., ბინა, გაბობა და განათება. თავმჯდომარეს ამხანაგს 2200 მან. და გამგეობის მესამე წევრს 3000 მან. გარდა ამისა მიეცეთ მათ დამატებითი ჯილდო თითოს 500 მან. ახალ არჩევნებამდე. ქალაქში ადგილობრივ მცხოვრებ ხმოსნებს მიეცეს სესიის დროს დღიური 100 მან.

ყრილობის მიერ მღებული დამატებითი ხარჯები 1 იანვრამდე 1920 წ. გამოიხატება 152825 მ. შემოსავალი გამგეობის ვარაუდით გამოიხატება 1354969 მ. 55 კ.

მომავალი სესიისა და ახალი არჩევნების საკითხს ყრილობა სტოვეს ღიად.

დასასრულ ყრილობა იხილეს მომრიგებელ მსაჯულთა კანდიდატების თხოვნებს და ირჩევს ერთ მოსამართლეს მიხეილ ნიკოლოზის ძე შოთაძეს ამაშუკეთის უბნისთვის, დანარჩენების არჩევას ანდობს თანახმად არსებული კანონისა მომრიგებელ მოსამართლეთა საბჭოს.

ხალაშის ხხლამა.

თავმჯდომარე ბუაჩიძე მოახსენებს ყრილობას, რომ საჭიროა გაუქმდეს დილიგაურის სამომრიგებლო უბანი და მის მაგიერ გამოიჭრას კორბოლის უბანი.

ქ რ მ ბ ა.

ქუთაისის სამხარო ერობაში.

ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძემ ტფილისში ყოფნის დროს ადრუბეიჯანის მთავრობის წარმომადგენლებისაგან მიიღო წინადადება 25 ათა'ი სასკოლო პარ-



მოქალაქე! იჩაჩეთ ლახარის ბილეთის ყიდვა!

პირველი მოგება 100.000 მან.

მეორე მოგება 50.000 მან.

მოგებათა განსასჯელად გადასახდელი სახელმწიფო ბილეთი გადართი ბილეთი ღირს 25 მან. კვირის 5 ბილეთი ლაგარის გათავსება მოხდება სახელმწიფო თეატრში 2 ნოემბერს. ლაგარის კანტორა: დამფუძნებელ კრების ქ. (ყოფილი სასახლის) № 5, ტელ. 7-51

ტების დამზადების შესახებ ამის გამო თავმჯდომარე წაბლარას ხევის ქარხნის, სადაც უნდა დამზადდეს პარტები, დათვალთვლების შემდეგ, შესაძლებლათ სცნო ამ საქმეს მიღება და გამგეობის დადგენილების თანახმად შემდეგი პირობა წარუდგინა დამკვეთელს: „წინადადება მიღებულ იქნება შემდეგი პირობით: 1) თითო პარტა ეღირება 500 მანეთი სად. აჯამეთში დაშლილი დანომრილია ჩაბარებით. დღიდან დანაკვეთის მიღებისა ერთი თვის შემდეგ ერობა იწყებს პარტების ჩაბარებას და მთელ დანაკვეთს მოათავებს ერთი თვის განმავლობაში დღიდან დანაკვეთის მიღებისა თუ დაკვეთილი პარტების 10 პროც. ღირებულებას გადაიხდის წინდაწინ“.

პროექტი ინსტრუქციისა არტელისათვის და სამუშაოს ფასები უკვე დამატკიცა ერობის გამგეობამ. ტფილი: იდან გამგეობა თავმჯდომარის, რომელიც პირადად ხელმძღვანელობს ამ სამუშაოს, დაბრუნების შემდეგ მუშაობა ტყის დასამუშავებლათ დაწყება.

ქუთაისის სამხარო ერობამ ტფილისიდან უკვე მიიღო ხუთი ორთქლმავალი ქუთაისის-ხონის რკინის გზისათვის.

სატარიფო პალატამ ერობას შეუდგე მომართვა გამოუგზავნა: ქუთაისის მხარის ფარმაცევტთა ჯგუფების მომეტების შესახებ საჭიროა შემდეგ ცნობები 1) რამდენი აფთიაქია მხარეში, 2) სად იმყოფება ისინი 3) ვის განკარგულებაში იმყოფება ისინი (ერობის, კერძო პირების და სხვა) 4) სწორი ცნობები ეხლანდელი ჯამაგირებისა. 5) როდის და რამდენია უქანასკნელი მომატება. ეს ცნობები სატარიფო პალატას უკვე გაეგზავნა.

ქუთაისის მხარე დაყოფილია 5 სასკოლო რაიონად. თვითნებ რაიონში იმყოფება თითო სკოლების მეთვალყურე ინსტრუქტორი, მიმდინარე სამოსწავლო წელში ქუთაისის რაიონში გაიხსნა შემდეგი სკოლები: ს. გეგუთში 2) მესხეთში 1 ვაკის უბანში 1 პარალელები პარაკეთში ბაშში, ეწერში და იანეთში. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები ამ ახლად მომავალში გაიხსნება სოფ. ფარცხანაყანეში და ეწერში, ტყიბულის რაიონში ს. საწირეში ახალ სოფელში ძურაყურში, უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები კი ხრესილში საწირეში და კურსებში.

უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის გახსნა შემდეგ ნაირად ხდება. საზოგადოება იღებს თავის თავზედ სკოლის მოწყობას. ბინა და გათბობა განათება, ხოლო მასწავლებლებს და დარაჯებს იძლევა ერობა. უმაღლესი მუშაობა ერობის საკოლო საქმეებში გამოიხატება იმაში რომ არსებული 164 სკოლა გარდამავალი სასწავლებლათ. თვითნებ კლას მიეცა თითო მასწავლებელი. ამგვარად მასწავლებელთა რიცხვი დაბალ სკოლებში გამრავლდა ექვსასამდე; მოსწავლეთა ჯგუფი კი გაორკეცდა. ამ რიგით უკვე მომზადებულია ნადავო მხარეში სავალდებულო და საყოველთაო სწავლის შემოსახლება.

ქ. ბორჯომი.

1919 წელს 19 ოქტომბერს მოხდა ბორჯომის სათემო ერობის საბჭოს ყრილობა, 35 ხმოსანი დაესწრნენ 25 ხმოსანი, იყო გასარჩევი შემდეგი კითხვები: 1) ბორჯომის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს ბინის რეკონსტრუქციის შესახებ. 2) სახელმწიფო და საერობო გადასახადების შესახებ. 3) საფუთო გადასახადის შესახებ ერობის სასარგებლოთ. 4) ანარქიასთან ბრძოლის შესახებ და 5) ყარ. ლებთან ბრძოლის შესახებ.

პირველ კითხვებზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ქ. შახნაზაროვი, რომელიც უხსნის ყრილობას სასამართლოს მნიშვნელობას 11 ივლისის კანონს სახლის რეკონსტრუქციის შესახებ. ყრილობამ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, რომ გამგეობამ, ორი თვის ბინის ძებნის შემდეგ, ვერ აღმოაჩინა შესაფერისი სახლი ბორჯომის უბნის სასამართლოსთვის გარდა ე. ს. იზმიროვისა, როგორც სამართლის-

თვის შესაფერისი შენობა დაადგინა მოხდეს ხსენებულ სახლის რეკონსტრუქცია.

მეორე კითხვებზე გამგეობის თავმჯდომარე ქ. შახნაზაროვი ვრცლათ აცნობს ყრილობას ყოველნაირ გადასახადების მნიშვნელობას თუ ვისთვის და რა საჭიროებისათვის იკრიფებოდა უწინ ნიკოლოზის მთავრობის დროს და დღეს ხალხისაგან გადასახადი; ყრილობა გაეცნო გადასახადების მნიშვნელობას, დაადგინა, აღ. აუჩინონ დახმარება ბორჯომის თემის გამგეობას გადასახადების აკრებაში და მოუწოდოს ხალხს სახელმწიფოს დასახმარებლათ მათზე შეწერილ გადასახადების გადახდათ.

მესამე კითხვებზე ყრილობამ დაადგინა, რომ შემოღებულ იქნას ბორჯომის რაიონიდან გამავალ საქონელზე საფუთო გადასახადი თემის სასარგებლოთ, რომლის ნიხრი მიანდო გამგეობას ქ. ბორჯომის თვითმმართველობის გამგეობასთან შეთანხმებით, რომ რომელიმე პირს ბორჯომის რაიონში რამოდენიმე ჯერ-მე არ გადახდეს.

მეოთხე კითხვებზე, ყრილობამ მოისმინა რა განმარტება გამგეობის თავმჯდომარის ქ. შახნაზაროვისა თუ როგორ უნდა ებრძოლოს ხალხი ანარქიას, დაადგინა სასტიკი ყურადღება მიაქციონ და თვალ ყური ადევნონ, რომ როგორმე დაიხსნან ხალხი ანარქიისაგან.

მეოთხე კითხვებზე, ყრილობამ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება რომ თვითონ ხალხია დამნაშავე ყაჩაღების გაფრთხილებაში, რომ მცხოვრებლები მალავენ ყაჩაღებს და არ აძლევენ ხელში მთავრობას, დაადგინა, რომ დიდი ყირადღება მიაქციონ ამ გვარ მოვლენას და არ დაშვარონ ის პირნი, რომელნიც იქნებიან შემჩნეულნი.

კითხვების შემდეგ, ხმოსნებმა განაცხადეს ს. თელოვანში მცხოვრების სპირალონ გელა შეილის შესახებ, რომ იგი საზოგადოებისათვის მავნე პირია, როგორც ქურდი, რომ ხსენებული გელა შეილი მრავალჯერ იყო შენიშნული. ქურდობაში, დაადგინა ეცნობოს მთავრობას მიიღოს ზომები მისი ბორჯომის რაიონიდან გადასახლებაზე.

გუნიციპალური ცხოვრება.

ოზურგეთის თვითმმართველობაში.

კრება გაიხსნა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ს. თოთიბაძის თავმჯდომარეობით.

დაესწრნენ: ქალაქის თავი გ. ე. მურვანიძე, გამგეობის წევრები: ს. ი. ცხომელიძე, გ. ა. სალუქვაძე და 9 ხმოსანი.

ნ. ოქტომბრის სხდომის ოქმი საბჭომ მცირე შესწორებით დაამტკიცა.

1. პირველათ საბჭოს მოხსენდა საფინანსო კომისიის მოხსენება ერთდროული სანიტარული გადასახადის განაწილების შესახებ, მოხსენებელია ქალაქის თავი გ. მურვანიძე. გადასახადი განაწილებულია შემდეგ ნაირათ: აბანო 1—500 მან., აგურხანა 1—500 მან., აფთიაქის მაღაზრები 2—6000 მან., აფთიაქი 1—2500 მან. ბანკები 2—5500 მან. ბიურო-თ მოვაჭრები 3—12,500 მან., საგალანტერეინო-საქონლით მოვაჭრები 3—6500 მან., ელექტრონის სადგურები—1—2000 მან., კარტნიკები 4—5000 მან., კლუბის ბუფეტი 1—3000 მან., მეურნეთა კანტორა—1000 მან., კომპერატორები—7—19,200 მან., ლიმონათის ქარხანა 2—2500 მან., თერძები 6—4,000 მან., სასტუმრო 1—200 მან., მეფურეები 2—2500 მან., პურით მოვაჭრები 5—4300 მან., რკინეულობით მოვაჭრები 3—5000 მან., საათების სახელოსნო 2—700 მან., საკანდიტეროები 2—4000 მან., საზაფხულო — ბუფეტი 1—300 მან., სასწორები 2—1150 მან., სურათების სახელოსნო 3—1100 მან., სტამბა 1—1500 მან., ტყავის ქარხანა—3—8500 მან., ტყავის სავაჭრო 1—8500 მან., ქულების სა-

ხელოსნო—1—300 მან., ღვინის საწყობები 4—8500 მან., წისქვილები 6—5300 მან., ჩექმის მწმენდლები 2—400 მან., მეფნავლე 1—1000 მან., ექიმები კერძო პრაქტიკით მომუშავენი—5—3300 მან., კბილის ექიმი—1300 მან., ბებიან ქალი 1—300 მან., ოქრომკედლები—2—450 მან., ს. წვრიშალო სავაჭროები 50—30,000 მან., დალაქები 10—4000 მან., ზეინკლები—5—4,000 მან., კუბოს მაღაზია და ღურგლები—7—10,000 მან., მეჩქმეები 19—15,000 მან., მკედლები 10—10,000 მან., რესტორანები პირველი ხარისხის 10, მეორე ხარ. 9—30,000 მან., ხორციით მოვაჭრები—6—10,000 მან., ფართლის მაღაზია—22—25,000 მან., გარაზები—28—25000 მან., მეტელები 25—15,000 მან., მოსამსახურე პირნი—7505 მან., და 63 კ.პ., განაპირი უბნები: 1 უბანი (ბაზრის ქუჩა, კატოლიკების, ლიხაურის, თუმანოვის, ნაგორნი შესახვევი, ყუყის განაპირა, გურული ქუჩა, კამპანიის, ციკოპოვის და ივანოვის)—5,514 მან., 2 უბანი (ჯაყელის, ნაკაშიძის, კვიციანის, ქუთაისის, შემოქმედის, ლაშის, ბ. ლის და თვითმმართველობის)—5,2614 მან., 3 უბანი (ნატანების, ნიკოლოზის და ბათუმის)—28,350 მან. და 4 უბანი (ბაილეთის, ოზურგეთის, მოიდანახეს, მეღვინეების და თოთიბაძის)—17,100 მან.

საბჭომ მოხსენება დაადასტურა უცვლელათ.

2. თანახმით ქალაქთა კავშირის წინადადებას, საბჭომ დაადგინა: შეიძინოს მოქანდაკე ნიკოლაძისაგან მთავრობის თავმჯდომარე ნოე ნიკოლოზის ძე ყურდანიას ერთი ბიუსტი.

3. შემდეგ საბჭოს მოხსენდა ქალაქის თავის მოხსენება ქალაქის მილიციის შტატისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ, როგორც მოხსენებიდან ჩანს შტატის არსებული ჯამაგირი გადიდებულია შემდეგ ნაირად: მილიციის უფროსს 1500 მან., თვეში, მის თანაშემწეს 1,100 მან., საქმის მწარმოებელს 1,100 მან., უფროსს მილიციონერს 1000 მან., 14 უპიცროსს მილიციონერს 900 მანეთი თითოს თვეში.

ხმოსანი დ. ცეცხლაძე წინადადება იძლევა მილიციის უფროსს მიეცეს 1800 მანეთი თვეში, მარა მისი წინადადება არ გავიდა და კრებამ ხმის უმრავლესობით მიიღო კომისიის წარმოდგენილი მოსახრება. მომატებები მათ მიეცემათ 1 სექტემბრიდან. ხმ. რ. ჩხაიძე მოითხოვს მილიციონერების-თვის შექმნილ იქნას რაიმე ფორმა, განცხადება საბჭომ მიიღო ცნობათ.

4. სამხარო ერობის გამგეობა მიმართავს ქალაქის გამგეობას აქვს თუ არა ქალაქს რაიმე საწინააღმდეგო რომ სამხარო ერობამ შეიძინოს ნინო გურიელის მამული, რომელშია ამ უბანთ მოთავსებულია ერობის გამგეობა, საბჭომ მოისმინა რა ამის შესახებ მოხსენება, დაადგინა: მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს რათა სამხარო ერობამ შეიძინოს გურიელის მამული მდებარე ქალაქ ოზურგეთში.

5. შემდეგ წაკითხულ იქნა ხმ. ალ. კალანდაძის და რ. ჩხაიძის განცხადება ქალ. თავის-თვის, ჯამაგირის მომატების შესახებ, ისინი მოითხოვენ: ქალაქის თავს მიეცეს თვიურად 4,000 მანეთი.

კრებამ მოისმინა განცხადება და მცირე კამათის შემდეგ 8 ხმით 4 წინააღმდეგ მიიღო საბჭოს თავმჯდომარის პ. ს. თოთიბაძის წინადადება: ქალაქის თავს მიეცეს თვეში 3,500 მანეთი, რომლიდან 2500 მანეთის ის მიიღებს, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი, განსხვავებას კი 1000 მანეთს ქალაქიდან.—ეს მომატება მას მიეცემა 1 სექტემბრიდან

6. და ბოლოს საბჭომ ერთხმად დაადასტურა ქალაქის საზღვრის ხაზის გამომრკვევი კომისიის მოხსენება, აღნიშნულ კომისიაში შედიოდა ქალაქის და ერობის წარმომადგენლები, იწვდა მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი და მხარის მილიციის უფროსი—კომისიის დადგენილებას უქანასკნელი სანქცია უნდა უყოს მთავრობამ.—როგორც მოხსენებიდან ჩანს კომისიას არსებითად არა

ვითარი ცვლილება ძველ საზღვრებში არ შეუტანია, ახალ შემოსაერთებელ უბნებს ბოხუურს, ექაღისა, ეწერს და გამოღმა მეღვინე-ღურს ქალაქის ხაზში შემოერთებაზე ჭარბი ეთქვა.

ფოთის მუშათა შორის შრომის კომისიის ლ. ელბაქიანის მოხსენება

მოხსენება შრომის კომისიის ლ. ელბაქიანის შრომის მინისტრის ამხანაგს გ. ერაძეს—ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობისა მუშაობის შესახებ.

ოქტომბრის შუა რიცხვებში შრომის მინისტრის განკარგულებით შრომის სამინისტროს წარმომადგენლათ ფოთში ნავთსადგურის და რკინის გზის მუშებს შორის ამტყდარ კონფლიქტის მოსაგვარებლათ გაიგზავნა ლ. ელბაქიანი (კომისიის დადგენილება მოყვანილია საქართველოს რესპუბლიკის № მე 242-ში), რომელმაც შემდეგი ვრცელი მოხსენება გაუშუქა შრომის მინისტრის ამხანაგს გ. ერაძეს.

ელბაქიანი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქიათურის მ.რგანეცის შეწავლამდის ბათუმის შემდეგ ფოთს მეორე ადგილი ეჭირა, როგორც ნავთსადგურს. რკინის გზის ტარიფს 75%-ს გაიადფებით მარგანეცი თითქმის ფოთიდან გადიოდა. ამის გარდა ფოთიდან იღებდა სპარსეთ, მთელი კავკასია სატრანსპორტო ტვირთს.

ტვირთის გადასახდანი არსებობდა მრავალი მუშათა არტელი. მეფის რეჟიმი არტელებს უფლებას არ აძლევდა შერთებულყენენ და ამით დაქსაქსული იყო ყოველივე მათი ცდა და ნაყოფიერობა. მათ შორის ყურადღებას იპყრობდა ორი ჯგუფი: „თეთრ-მტვირთები“ და „შავ-მტვირთავები“. ამითან ერთად არსებობდა არტელ. რკინის გზის მუშებისა.

„თეთრ-მტვირთებს“ მოვალეობა იყო მოსულ ტვირთთან გემების დაცლა და ტვირთის სატრანსპორტო საწყობებში შეტანა „რუსეთს საზოგადოება“ „იმედი“ და სხვა.

შავ მტვირთავებს კი მარგანეცის დაცლა და დატვირთვა გემის: ხოლო რკინის გზის მუშების არტელის მოვალეობა იყო სატრანსპორტო საწყობიდან ტვირთის გადაზიდვა ვაგონებში, კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში გასაგზავნათ.

77 პუნქტის რუს. რკინის გზის წესდების ძალით ფოთის რკინის გზა ტვირთის და საქონლის მეპატრონეთაგან განსაკუთრებულ ფასს არ იღებდა, რადგან ეს ხდებოდა პირველ გა-აგზავნად სადგურზე ვინაიდან მოვალეობა ტვირთის ან საქონლის დაკარგვისა რკინის გზას ედო თავზე, ამიტომაც შემო-მოყვანილი პუნქტის ძალით რკინის გზა გადატვირთ-გადმოტვირთვის მხოლოდ არტელის მუშებს აძლევდა ნებას.

შედავით იყო მხოლოდ ისე ტვირთის, როგორც შუა, ტყის მასალა, ნახშირი, მარილი და სხვა, ან შემთხვევაში მეპატრონეთ სრული უფლება ჰქონდათ აეყვანათ კერძოთ თავიანთო მუშები.

საერთაშორისო ომის დროს, როცა დარდა ნელის სრულე დაიკეტა—ტრანზიტის შეჩერდა, ფოთში მოძრაობაც მოკვდა, დარჩა მხოლოდ რამოდენიმე თეთრ მტვირთავი და 400 რკინის გზის არტელის მუშა.

დიდ რევოლუციის შემდეგ ფოთის პორტს დაეტყო მოძრაობა, როცა გერმანიამ საქართველოდან რუმინის გზით დაიწყო შავი ქვის გატანა, მარა გერმანიამ რომ მიატოვა ფოთის ისე იმ მდგომარეობაში ჩავარდა, მით უმეტეს რაც რუსეთის ქალაქებთან შეწყდა ყოველ-ვე კავშირი.

26 მაისია აქტის და ბათუმის დაკარგვის შემდეგ ფოთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იხვეჭს კავკასიისათვის მით უმეტეს საქართველოსათვის, რადგან მხოლოდ მის მიერ შეიძლება მიიღოს ყოველივე ტვირთი სა-

სსპა და სსპა.

ღვარ-გარეთიდან კავკასიას და საქართველოს. ამნაირათ ფოთა მნიშვნელოვანია ახლა, რომ გორც უმთავრესი საქართველო პუნქტი და და ტვირთის მიღება-გაგზავნის პროცესი ცოტათ თუ ბევრათ შეიცვალა. პირველად ყოველსა მოსსო სრულიათ ე. წ. პირდაპირი მიმოსვლის ტვირთი გარდა რამოდენიმეა, რომელიც ადერბეიჯანსა და სომხეთისათვის არიან დანიშნულნი ან ამ რესპუბლიკებიდან აგზავნიან ევროპაში. სხვა ტვირთები მოდის ფოთის ნავთსადგურში და აქედან ახალი დოკუმენტებით მოდის სხვა და სხვა ქალაქებში საქართველოსა და ევროპისა.

როცა ასეთი მუშაობა დაწყებულია. ფოთის ნავთსადგურში სწორეთ შავ და თეთრ მტვირთავი მუშები შეერთებულან, რომლებიც აწარმოებენ ყოველივე გადატვირთ-გადმოტვირთვის საქმის შესრულს 750 კაცს შეადგენენ. თუ შეიმოაღწეული მუშები შეერთდნენ, — წინააღმდეგე რკინის გზის მუშები სრულიად დაიქსაქსნენ, მათ შექმნიეს კლასი რკინის გზის მოსამსახურეებისა და ტვირთის დაკარგვა ვინაიდან პასუხისმგებელი არიან იყო გახვირდა ძალიან. თუმცა დისკრიპინარულ სასამართლოს რკინის გზის მოსამსახურეებისას ძალიან შეუწყობია ასეთი დოქტრინები, მაინც ტვირთის და ავეჯს კი არ აძლევენ რკინის გზას შეთანხმად, არაჲდ თვითონ შეაქვეთ ვაგონში, რაიც ჩემის აზრით დასაჯობია და საქაროა აქაც პასუხისმგებელ არტელის დაარსება, რომელიც მთელი პასუხის გებით მოეპყრობიან მიზარებულს, ისე როგორც მოითხოვს არსებული პირობები.

ასეთი არტელის დაარსება თვით რკინის გზის უმთავრეს ადმინისტრაციის საქმეა.

ამ ყამად სადგურზე ფოთში და ნავთსადგურში ითვლება 73 რკინის გზის მუშა. მათი მოვალეობაა სატვირთავ განყოფილებაში მუშაობა — მიღება და გაგზავნა ტვირთისა, ვა, გონების გაწმენდა ტვირთიდან და სხვა. აგრეთვე სამხედრო ვაგონების მომზადება და დაცვა, 73 მუშებიდან რკინის გზაზე მუშაობს 33 მუშა — 3 წელია 6 მუშა — 4 წ.; 2 — 5 წ. — 3 — 7 წ., 4 — 8 წ., 2 — 13 წ., 1 — 15 წ., 1 — 16 წელი. ეძლევათ მათ ჯამაგირი 981 მან. 70 კ. თვეში და პური იაფ ფასში და სხვა.

კონფლიქტის მიზეზები იყო ის, რომ ადერბეიჯანიდან მოაწვდა ბევრი ნავთის ტვირთი — რკინის გზის მუშები არ ეყო ამ მუშაობას და მოიწყვიეს ნავთსადგურის მუშები მოსახმარებლად — ეს მოხდა თებერვლის დამლევის, რის შემდეგ ნავთსადგურის ზოგიერთმა მუშებმა მოითხოვეს რკინის გზის მუშების ფუნქცია, რამაც დაზადა დავა ორივე არტელის მუშების შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ფუთ ტვირთის გამოტანაზე ნავთსადგურის მუშათა კავშირი ახდენებდა მეპატრონეს 1 მან. 30 კ. რკინის გზა გარდა იმისა თავის მხრივ ახდენებდა მეპატრონეს 18 კაპ. ფუთზე. ამნაირათ არა ნორმალური მდგომარეობა იქმნებოდა, როცა მუშები ზედ-მეტს იღებდნენ, ვინემ ერგებოდათ, და როცა მოხდი განკარგულება 5 მუშას ბორჯომ ხაშურში გადაყვანის შესახებ, მაშინ ასტყდა განგაში დავა, რამაც გამოარკვია დღევანდელი კომფლიქტის მნიშვნელობა.

ამიტომაც საჭიროა, რომ რკინის გზის უფროს ადმინისტრაციამ გადაათვალიეროს წესდება — შეცვალოს ტარიფები ცხოვერების შესაფერათ, მიუხედავად იმისა, რომ რკინის გზის მუშებს დაუბრუნდათ თავიანთი უფლებები (იხ. № 242, „საქართველოს რესპუბლიკა“).

მოკავშირეთა მისიამუი პარიზის მაგისტრატურის მისიის ჩამოსვლა

გუშინ ტფილისზე ბაქოსკენ გაემგზავრა პარიზის მაგისტრატურის მისია, რომელიც საფრანგეთის გემზე „სარკასი“ — წყნა მოვიდა. მისიას სადგურზე დახვდნენ ტფილისში მყოფ საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი პრინცი ლუსიენ მიურატი და ლეიტენანტი გიუგო.

სადგ. ყაზბეგში დაპატიმრეს სამხედრო მინისტრის ყოფილი ადიუტანტი ნ. ამილახვარი, რომელსაც ყალბი საბუთებით სხვა და სხვა დროს საინტენდენტოდან მიუღია 600 ფუთი შაქარი, ვითომ იტალიის მისიისთვის გადასაცემათ. ნ. ამილახვარი ავლი ზვილის სახელზე აღებულ პასპორტით ყაზბეგში გასვლას აპირებდა. ნ. ამილახვარი ტფილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს.

28 ოქტომბერს, ბათუმში მოვიდა 100 ათასი ფუთი სხვა და სხვა ხარისხის ქალაქი „კიუმურსი“-ს სახელზე. გ. ა. აბელიძის განკარგულებით ყოველ დღე იტვირთება 10 ვაგონი.

28 ოქტომბერს ბათუმიდან ბაქოში გაიგზავნა 25 ათასი ფუთი შაქარი ადერბეიჯანის რესპუბლიკის სახელზე.

29 ოქტომბერს გაიხსნა სად. ხეთა შავი ზღვის რკ. გზა. გახსნას დაესწრო გზათა დეპარტამენტის დირექტორი ვ. ა. ჭიჭინაძე, გზათა უფროსის თანამშემე ვ. ი. კენგე და ექსპლუატაციის უფროსი გ. ა. აბელიძე. ამ დღიდანვე დაიწყო ყოველ დღიურათ სამი წყვილი საქონლისა და საგზავრო მატარებელი სად. ახალსაქადან ხეთამდე.

28 ოქტ. ტფილისიდან ბათუმში გაიგზავნა ლტოლვილი ბერძენები 40 და რუსები ოჯახობით 120 კაცი.

დღეს, ოქტომბრის 31-ს, საღამოს 8 საათზე, მოხდება ჩვ ულებრივი საზოგადო კრება საქართველოს საისტორიო და საეტიმოგრაფიო საზოგადოებისა, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტისა და რკინის საარქეოლოგიის საგანი კრებისა: ა) ლეონ მელიქიძე-ტყეგოვის წინადადება: „ქართული ევროპა სააკ პართელის მოხსენება; ბ) ახალ წევრთა არჩევნები. კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

გაზ. „საქ. რესპ.“ მოთავსებულ ის. ხანანაშვილის რედ. მიმართ წერილის შესახებ შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ხანანაშვილის განცხადება, ვითომც ონიდან გაგზავნილი საპროტესტო დეპეშა ბაზოვისა შეთხზულია, — ვაცხადებ, როგორც კრების თავმჯდომარე, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. დეპეშა ონის ებრაელთა ერთხმად დავალებითაა ჩვენ მიერ გამოგზავნილი.

საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წინაშე, რათა დაცლილ იქნეს სიღნაღის სომხურ სკოლის ბინა.

საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ სხვა და სხვა სოფლებში უკვე გახსნა 10 სკოლა. სულ განზრახულია გახსნას 80 სკოლა.

მანგლისა და ს. დედოფლის წყაროში მყოფი სომეხ-ლტოლვილ ბავშვთა ორი თავშესაფარი ტფილისში იქნა გადმოტანილი, თავშესაფარში სულ 765 ბავშვია.

საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა 100 ფუთი ფქვილი გაუგზავნოს შუალაგერის უღარიბეს მცხოვრებთათვის.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 100 ათასი მან. გადასდო თავის სკოლებისათვის რვეულების და სხვა სასკოლო საგნების შესაძენათ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის მეოთხე სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული ვ. კ. აბაშიძე, ამით აცხადებს, რომ 1919 წლის 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მოხდება მის მიერ საჯარო ვაჭრობა ვაზეთ „მშაქის“ გამოცემულთა ზომიერ ქონებაზე, ვითარე ქონება შეიცავს საბეჭდო მანქანას და სხვა მის ხელსაწყოს, რომელიც დაფასებულია 34025 მანეთად. ხოლო აღწერილი ასოთ-ამწყობთ: არტემ კარაპეტიაციის და სხვათა მიერ ფულის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა მოხდება დიდი ვანქის ქ. სახლი № 3, სტამბა „ეკონომიში“ 34 1—1

პირადობის მოწმობა № 8431 გაბრიელ არკადის ძე სტეფანოვის სტეფანიაის სახელზე გაუქმებულათ ითვლება. 1610 3—3

ელენე ანატოლის ასული ს. ბოლგევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიცემული პალტაის მოქალაქეთა უზუცესისგან 18 ოქტომბერს 1919 წელს № 3309 გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულათ 2 3—3

აქციის სამმართველოს უფროსი ამით აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის აქციის ყოფილ სამმართველოს კონტროლიორს ვეისერმენს დაუკარგავს მოწმობა, მიცემული აქციის სამმართველოდან 7 ნოემბერს 1918 წ. № 7180, შესახებ იმისა, რომ მას ვეისერმენს, რუსეთის ხაზინიდან ერგება 1140 მან. 40 კ. შტატს გარეშე დატოვების გამო 1 აგვისტოდან 1918 წ. და რომ დაკარგულს მაგიერ მიეცა ვეისერმენს 23 ოქტომბერს 1919 წ. ხსენებულ მოწმობის პირი; ამიტომ აღნიშნული დაკარგული მოწმობა ითვლება, ვაბათი-ლებულათ, ხოლო მპოვნელი მისი, გობათი-წარმოადგინოს იგი აქციის სამმართველოში. 2201 3—3

მეთოდე ისიდორეს ძე არჩუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიცემული ხრეთის კომისიის მიერ, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 7 3—2

არტემ გრიგორის ძე ბეგლაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსისგან 11/II 1919 № 1271 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 13 3—2

სერგო ნიკოლოზის ძე თოხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 904, დაუთოფილე ჩირაკაძის № 10, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1594 3—2

ალექსანდრე ანდრიას ძე კოვალი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 10 3—2

იაკობ გიორგის ძე ბოლოტნიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა და მეტრიკული მოწმობა რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 20 3—2

ხარიტონ მიხეილის ძე თელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დაჭრილ დასახმარებულთა კავშირიდან მიღებული საწვეგრო მოწმობა. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 3 3—3

ძმები ა. და ნ. კოვალიევი აცხადებენ, რომ მათი ძმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კოვალიევი 1915 წ. აგვისტოს 10-დან ითვლება უგზო უგვალოდ დაკარგულათ გერმანიის ფრონტზე, ამ დრომდე მის მიერ გაცემული ვეჭილობები გაუქმებულათ ითვლება. 16 3—1

პლატონ როსების ძე ცანავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. დროებით აქცია, № 1135 მიცემული ამიერ კავკასიის ბანკიდან 2. პირადობის მოწმობა, 3. 900 მან. ფული 230. ვნელის თხოვეს მოწმობები, დაუბრონოს და ფული დაიტოვოს. მისამართი: კათოლიკის ქ., № 3. 21 3—1

ინე. მ. ზ. შალიაგსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 14334, მიღებული 1914 წ. ნოემბრის 24 ს მოსკოვის ქ. უფროსისგან. 27 3—1

აბრამ ზაქარის ძე აბაგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 27 3—1

დავკარგე პასპორტი მიცემული რაჭის მაზრის სოფ. აბრიალურის კომისარისგან ერთი წლის ვადით. მოვინელს ვთხოვე დამბრუნონ შემდეგი პირობით, ლაბორატორიის ქუჩა № 7. წინამდებ შემთხვევაში პასპორტს ვაცხადებ გაუქმებულათ. ილარიონ იოსების ძე კობახიძე. 28 3—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 15 ოქტომბერს დადგენილების თანხმად სამხედრო სასამართლო წესდების 95 ს. მუხლის ემტებს პირველ შავი ზღვის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს ვლადიმერ ჯალალდინას, რომელიც პირადი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. ბ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით. ყველა ვინც იცის სად იმყოფება ჯალალდინა ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, ოლდის ქუჩა № 48 8 3—1

საქმიონი

ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა შესდგება 1919 წ. ნოემბრის 9-ს, დილის 10 საათზე, ლომბარდის ბინაზე (ლორის მელიქ. ქ., № 8) გაიყიდება ვინაგასული გირაოები, რომლებიც შეიცავენ დიარგასული ქვები, ლითონისა სხვ. საგნებს შემდეგი №-ით: 71175, 72505, 72549, 72620, 72711, 72895, 72923, 73247, 73248, 73486, 73968, 74805, 75080, 75099, 75217, 75618, 75919, 76045, 77021, 77249, 77289, 78301, 78483, 78747, 78945, 79165, 79331, 79395, 79633, 79917, 80578, 80602, 80656, 80662, 80672, 80673, 80720, 80902, 81036, 81276, 81473, 81527, 81641, 81679, 81734, 81741, 81839, 81869, 81933, 82019, 82027, 81993. 25 1—1

სპირიდონ ივანეს ძე ფიცხელაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქვემო ხევის (დუშეთის მაზ.) რიონის კომისარისგან გაუქმებულათ ჩაითვალოს. 26 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში კაპიტანმა ეიორგი მიხეილის ძე ქავთარაძემ შემოიტანა ვინცაღესა, რომ მისი ცოლი ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასული ქავთარაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. 20 თებათვეს უვადოდ დაიკარგა 1916 წ., მისში, რის განთ აღნიშნული გიორგი მიხეილის ძე ქავთარაძე თხოულობს მისგან გააქორწინებას; ყველა ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა გრიგოლ ლარიონოვის ასულ ქავთარაძის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს შემოხსენებულ პირის შესახებ საშირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 23 2—1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წ. 22 ოქტომბრის დადგენილებით თანხმად სამხედრო სასამართლო წესდების 95 ს. მუხლის, ემტებს მესამე დარილის სანაპირო რაზმის ჯარის კაცს პორუჩიკ ნიკოლოზ პერედნოსის ბრალი ედება 1 ნ. 160 მუხ. XXII წიგნ. ს. ბ. კ. 1869 წ. მე-4 გამ: და 373 მუხ. ს. ს. წ. ყველა ვინც იცის სად იმყოფება პორუჩიკ პერედნო ვალდებული არის განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლდის ქუჩა № 48. 7 3—1

დავკარგულია ატესტატი და დამატებითი მოწმობა აღებულ ტფილის. რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან, მეტრიკული მოწმობა, ლათინურის ჩაბარების მოწმობა და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რომელიც ეკუთვნოდა გიორგი მიკირტის ძე შანოვს. დაკარგული მოწმობა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1621 3—3

მაგომედ კერიმ ბაბაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 28, მიღებული გიულიატლინის სსოფლო სამმართველოდან 1913 წ. მაისის 4-ს 1618 3—3

ერასტი მურზაყანის ძე მაქავარიანი აცხადებს, რომ მას გაქურდვის დროს, მოპარეს დედანი მოწმობისა № 5077, მიცემული ტფილისის სამხედრო საკრებულოდან-ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 2205 3—3